GRASS REFORMANDA
აარჩ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
ნერილის რეგისტრაციის № 292
თარიღი: 8 11 2016 წ.

GRASS FACTCHECK

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (police.ge), სისხლის სამართლის დანაშაულის სტატისტიკა ყოველთვიურად ქვეყნდებოდა ხოლმე. თუმცა აღნიშნული პრაქტიკა 2016 წლის იანვრის თვის სტატისტიკის გამოქვეყნების შემდეგ შეწყდა. რამ განაპირობა, ის რომ სტატისტიკური ინფორმაცია აღარ ქვეყნდება?

   - აქვე, გთხოვთ მოგვაწოდოთ, 2016 წლის იანვარ - სექტემბრის (ყოველი თვის ცალ-ცალკე და ასევე კუმულატიური) სტატისტიკები, რომლებიც საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყებას მოიცავს. სტატისტიკური მონაცემები მოგვაწოდეთ იმ ფორმით, რა ფორმითაც ხდებოდა მათი სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

   - 2013-2014 წლის იანვარ-აპრილის (თითოეული თვის ცალ-ცალკე და ასევე კუმულატიური) და ოქტომბერ-დეკემბრი (თითოეული თვის ცალ-ცალკე და ასევე კუმულატიური) სტატისტიკები, რომლებიც საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყებას მოიცავს. სტატისტიკური მონაცემები მოგვაწოდეთ იმ ფორმით, რა ფორმითაც ხდებოდა მათი სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

2. იმ შემთხვევაში თუკი სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება ხდება არა კონკრეტული თვის ბოლოს, არამედ რამდენიმე თვის დაგვიანებით, როგორ აისახება მასში მონაცემები? კერძოდ, თუკი 2016 წლის თებერვლის მონაცემები გამოქვეყნდება ნოემბრის თვეში, მონაცემები თებერვლის თვის მდგომარეობით იქნება ასახული (როგორც იქნებოდა მისი მარტის თვეში გამოქვეყნების შემთხვევაში) თუ კუმულატიური სტატისტიკა გამოქვეყნდება და შესაბამისად მასში თებერვალ-ნოემბრის პერიოდში განხორციელებული ცვლილებებიც იქნება ასახული?

3. 2010 წლის 30 აპრილს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 4 უწყებასთან ერთად ხელი მოაწერა, „სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ“ თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც ერთიანი ანგარიშის გამოცემა უნდა მოხდეს ყოვეთვიურად, შესაბამისად თითოეულმა უწყებამ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მონაცემები

GRASS FACTCHECK

ანგარიშში შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია არ არის ასახული. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განცხადებით, ამ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს მათთვის მონაცემები არ მიუწოდებია. რა არის ამის მიზეზი ? რატომ აღარ აწვდის შინაგან საქმეთა სამინისტრო საქსტატს ინფორმაციას?

პატივისცემით,

დიმიტრი ავალიანი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი,

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის #27

საკონტაქტო პირი:
თამარ ქეცბაია

ტელ: 599277211
E-mail: tkets11@freeuni.edu.ge

NNLE Georgia's Reforms Associates * 406077579 * GRASS